

## **შპს დაგი -ს 2019 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით**

1. შესავალი
2. შპს დაგის მონაცემები
3. სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება , როგორც საანგარიშგებო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
4. შპს დაგის 2019 სამეურნეო წლის საქმიანობის შედეგი, მოგება-ზარალის ანგარიშგება
5. საზოგადოების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის მონაცემებით
6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
7. განმარტებითი შენიშვნები

### **1. შესავალი**

ა ნ გ ა რ ი შ ი

მტკიცდება შპს დაგის დირექტორის გელა ჭალიძის მიერ

ქ. ახალციხე

2020 წლის 29 სექტემბერი

აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს შპს დაგი-ს 2019 დასრულებული წლის სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ ანგარიშგებას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დასრულებულ პერიოდს.

### **2. შპს დაგი-ს მონაცემები**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სახელწოდებით „დაგი“, რეგისტრირებულია და

გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2006 წლის 19 ოქტომბრიდან, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 224086094 , მისი იურიდიული მისამართია ქალაქი ახალციხე, რუსთაველის ქ 46.

შპს დაგის დირექტორია გელა ჭალიძე, პ.ნ. 47001005235.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

- გელა ჭალიძე, 47001005235, საქართველო - 50% წილი, მმართველი
- თეა ივანიშვილი, 57001007987, საქართველო - 50% წილი.

შპს დაგის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა არის - საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

### 3. საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს დაგი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდისა 31.12.2019წ და წინა საანგარიშგებო პერიოდის შესახებ 31/12/2018

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                     | 31/12/2019 | 31/12/2018 | 01/01/2018 |
|-----------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| <b>აქტივები</b>                                           |            |            |            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                               | 492701     | 289531     | 273500     |
| სავაჭრო მოთხოვნები                                        | 49956      | 30052      | 29576      |
| გადახდილი ავანსები                                        | 7833       | 42388      | 6280       |
| მარაგები                                                  | 1132055    | 1086651    | 896991     |
| მზა პროდუქცია                                             | 1132055    | 1086651    | 896991     |
| სხვა                                                      | 0          | 0          | 0          |
| საინვესტიციო ქონება                                       | 0          | 0          | 0          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                   | 0          | 0          | 0          |
| ბიოლოგიური აქტივები                                       | 0          | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                   | 0          | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                       | 0          | 0          | 0          |
| გუდვილი                                                   | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                              | 746        | 878        | 1032       |
| ძირითადი საშუალებები                                      | 44180      | 52802      | 48246      |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                         | 0          | 0          | 0          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში       | 0          | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                | 0          | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                              | 1727471    | 1502302    | 1255625    |
| <b>ვალდებულებები</b>                                      |            |            |            |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                              | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                     | 18330      | 103167     | 65731      |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები                     | 0          | 0          | 0          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                        | 0          | 0          | 0          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                | 0          | 0          | 0          |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                | 0          | 0          | 0          |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                           | 0          | 0          | 0          |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                        | 0          | 0          | 0          |
| მიღებული გრანტები                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                        | 0          | 0          | 0          |
| სულ ვალდებულებები                                         | 18330      | 103167     | 65731      |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                  |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატი | 0          | 0          | 0          |
| საემისიო შემოსავალი                                       | 0          | 0          | 0          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                              | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                             | 1709141    | 1399135    | 1189894    |
| გადაფასების რეზერვი                                       | 0          | 0          | 0          |
| სხვა რეზერვები                                            | 0          | 0          | 0          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                     | 1709141    | 1399135    | 1189894    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                    | 1727471    | 1502302    | 1255625    |

#### 4. საზოგადოების საქმიანობის შედეგის ანგარიშგება

შპს დაგი

სრული შემოსავლებისა და მოგება -ზარალის ანგარიშგება 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები 2019 წ საანგარიშგებო პერიოდისათვის

| საქმიანობის შედეგები                                   | 2019     | 2018     |
|--------------------------------------------------------|----------|----------|
| ნეტო ამონაგები                                         | 3585847  | 3443505  |
| საქონლის გაყიდვიდან                                    | 3585847  | 3443505  |
| მომსახურების გაწევიდან                                 | 0        | 0        |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                           | 0        | 0        |
| სხვა                                                   | 0        | 0        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                  | -2959487 | -2895700 |
| საწყისი მარაგები                                       | 1086651  | 896991   |
| მარაგების შესყიდვა                                     | 3004891  | 3085360  |
| გადამუშავების დანახარჯები                              | 0        | 0        |
| საბოლოო მარაგები                                       | 0        | 0        |
| საერთო მოგება                                          | 626360   | 547805   |
| სხვა შემოსავალი                                        | 0        | 0        |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                               | -147574  | -140123  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                   | -9482    | -10930   |
| საპროცენტო შემოსავალი:                                 | 0        | 0        |
| საპროცენტო ხარჯი :                                     | -45247   | -61343   |
| იჯარის ხარჯი                                           | -75000   | -75000   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი               | -39051   | -51168   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                 | -316354  | -338564  |
| საოპერაციო მოგება                                      | 310006   | 209241   |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>              |          |          |
| ფინანსური აქტივები                                     | 0        | 0        |
| მარაგები                                               | 0        | 0        |
| სხვა არაფინანსური აქტივები                             | 0        | 0        |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | 0        | 0        |
| მიღებული დივიდენდები                                   | 0        | 0        |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)          | 0        | 0        |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობი | 310006   | 209241   |
| მოგების გადასახადი                                     | 0        | 0        |
| მოგება/(ზარალი)                                        | 310006   | 209241   |

#### 5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს დაგი-ს 2019 სამეურნეო წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

|                                                            |         |         |
|------------------------------------------------------------|---------|---------|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გა    | 0       | 0       |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოები)    | 0       | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ                      | 0       | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                         | 310006  | 209241  |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)           | 1399135 | 1189894 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზ | 0       | 0       |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)             | 0       | 0       |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                      | 0       | 0       |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                  | 0       | 0       |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                      | 1709141 | 1399135 |

## 6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| ფულადი სახსრების მოძრაობა                         | 2019   | 2018   |
|---------------------------------------------------|--------|--------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 203170 | 16031  |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | 0      | 0      |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    | 0      | 0      |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 203170 | 16031  |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            | 0      | 0      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 289531 | 273500 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 492701 | 289531 |

## 7. განმარტებითი შენიშვნები

შპს დაგი, ს ნ 224086094 , მისამართი- ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ 46, დაფუძნდა 2006 წლის 19

ოქტომბერს და მისი ძირითადი საქმიანობაა საყოფაცხოვრებო ტექნიკით ვაჭრობა.

კომპანია, მიუხედავად დიდი კონკურენციისა, კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას და 2019 სამეურნეო წელი მოგებით დაამთავრა.

შპს დაგი წარმოგიდგენთ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის და აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის /მსს ფასს/ შესაბამისობაში, და ძირითადი დაშვებები და მეთოდები რომელსაც ჩვენ ვიყენებთ და რის საფუძველზეც მოვამზადეთ ფინანსური ანგარიშგება არის - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

ანგარიშგებას წარმოვადგენთ მეორედ. 2019 წლებში ფინანსური ანგარიშგება გვაქვს წარმოდგენილი.

საზოგადოების ახალი სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი.

ორგანიზაციის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია პირდაპირი მეთოდით.

საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები, იგივე საქონელია, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად და წარმოადგენს მიმდინარე აქტივს. საქონლის ღირებულებაში, გარდა შემენის ღირებულებისა, შედის აგრეთვე სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქონელთან.

საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები- ძირითადი საშუალებები აღრიცხული გვაქვს თვითღირებულების მეთოდით და ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად ვიყენებთ წრფივ მეთოდს.

შპს დაგი-ს ძირითად საშუალებებს წარმოადგენს ტრანსპორტი და ოფისის აღჭურვილობა.

შპს დაგი-ს 2019 წლის სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს შესაბამისად და ანგარიშგების ელემენტების განსაზღვრისას ვხელმძღვანელობთ დარიცხვის მეთოდით.

ორგანიზაციის შემოსავლები ძირითადად არის საქონლის გაყიდვიდან მიღებული. საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

გაყიდული საქონლის ჩამოწერისას საზოგადოება იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ორგანიზაცია სარგებლობს ჩვეულებრივი, საოპერაციო იჯარით. როგორც მოიჯარეს აღებული აქვს შენობა და აქვს საიჯარო ხარჯი.

ორგანიზაცია ასევე სარგებლობს სხვადასხვა ბანკების სატერმინალო და განვადების მომსახურებებით და შესაბამისად იხდის ბანკების მომსახურების საფასურს პროცენტის სახით.

შპს დაგი -ს ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებში გატარებული აქვს სხვადასხვა კომინალური გადასახადები, დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებები.

2019 წელს ორგანიზაციამ დაამთავრა 310006.00 ლარის მოგებით.

შპს დაგი-ს დირექტორი

გელა ჭალიძე